community

The New Apostolic Church around the world

03/2025/GE

ვუყუროთ ცას

რედაქციისგან
ღმერთი გველაპარაკება

ღვთისმსახურება
მზად გრანდიოზული
ფინალისთვის

საეკლესიო მოძღვრება
ხსნა და გამოსყიდვა

New Apostolic Church
International

რედაქციისგან

3 ღმერთი გველაპარაკება

ღვთისმსახურება

4 მზად გრანდიოზული ფინალისთვის

საბავშვო კუთხე

10 პეტრე უარყოფს იესოს

12 სტუმრად ალფრედთან პარიზში (საფრანგეთი)

დოქტრინა

14 რას ნიშნავს ხსნა და გამოსყიდვა

Global News

18 წლევანდელი დევიზი ინსპირაციის წყაროა შემოქმედთათვის

■ თავფურცელის ფოტო: სამხრეთ აფრიკის ახსე
■ უკანა გვერდის ფოტო: სამხრეთ აფრიკის ახსე

ღმერთი გველაპარაკება

ფოტო: საერთაშორისო ახსე

ღმერთმა კაცობრიობას განსაკუთრებული ადგილი მიანიჭა მის შემოქმედებაში. ის ადამიანს ელაპარაკება და არა მთებს, ხეებს ან თხებს. ერთადერთი არსება, რომელსაც იგი მისი ნების გასაცხადებლად ესაუბრება, ადამიანია.

ასე იქცეოდა ღმერთი ყველა დროში. პირველ ადამიანებს იგი უშუალოდ ესაუბრებოდა. მოგვიანებით კი პირადაპირ და უშუალოდ აბრაამს დაელაპარაკა. ისრაელის ხალხს კი პირდაპირ არ ესაუბრებოდა. რადგან ხალხი შეიძლება შეეშინებულიყო. ამიტომ, როდესაც რამის შეტყობინება სურდა, მოსეს ეუბნებოდა, მოსე კი შემდეგ ისრაელიენებს გადასცემდა. შემდეგში ღმერთი წინასწარმეტყველთა პირით ლაპარაკობდა.

შემდეგ მოვიდა იესო ქრისტე. ღმერთი განკაცდა. იესო პირდაპირ ესაუბრებოდა ხალხს. როდესაც იესო მამასთან დაბრუნდა, სულიწმიდა და მოციქულები მოავლინა. მოციქულებს ასეთი პირობა მისცა: „ვინც თქვენ მიგიღებთ, მე მიმიღებს, ვინც მე მიმიღებს, ჩემს მომავლინებელს მიიღებს“ (მათ. 10, 40).

ღმერთი დღეს სხვადასხვა გზებს იყენებს იმისათვის, რომ მოგვმართოს. ჩვენთან დალაპარაკება მას ბიბლიის კითხვითა და სულიწმინდის მეშვეობით შეუძლია, რომელიც ფიქრებში გვესაუბრება. მაგრამ ამას, უპირველეს ყოვლისა, მოციქულების მეშვეობით აკეთებს. ქადაგებაში ღმერთი გვიცხადებს, თუ რა უნდა გავაკეთოთ ხსნის მისაღწევად. ამიტომაც არის ჩვენთვის მნიშვნელოვანი იმ სიტყვის მოსმენა, რომელსაც ღვთის მიერ წარმოგზავნილნი ქადაგებენ. ისინი არიან და იქნებიან ცოდვილები, მაგრამ სახარების საუწყებლად ღმერთი განწმენდს მათ. ქადაგება არასრულყოფილი შეიძლება იყოს, თუმცა, თუ გვწამს იესო ქრისტესი, ვუსმენთ მის მაცნეებს და მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი, შევასრულოთ, რასაც ის გვეუბნება, მაშინ ეს ქადაგება ჩვენში სიმშვიდეს, სიხარულს და იმედს აღძრავს. ის გააძლიერებს ჩვენს რწმენას, გააფართოებს ჩვენს ცოდნას, ასაზრდოებს ჩვენს სიყვარულს და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, მოგვამზადებს ქრისტეს მეორედ მოსვლისთვის.

გულითადი მოკითხვებით, თქვენი

ჟან-ლუკ შნაიდერი

მზად გრანდიოზული ფინალისთვის

ფოტოები: ანდრეი ლიფანტიევი

შობამდე ცოტა ხნით ადრე, 2024 წლის 15 დეკემბერს, პირველმოციქულმა ჟან-ლუკ შნაიდერმა ომსკში (რუსეთი) ჩაატარა ღვთისმსახურება.

ლუკ. 21, 28

„ხოლო როცა დაიწყება ყოველივე ამის ახდენა, აღიმართეთ და მაღლა ასწიეთ თავი, ვინაიდან ახლოვდება თქვენი გამოხსნა.“

ძვირფასო და-ძმანო, უნდა გითხრათ, რომ განსაკუთრებით მადლიერი ვარ მოწყალე ღვთისა, რომ დღეს ამ ღვთისმსახურების ერთად განცდა შეგვიძლია და, რომ რუსეთში ყოფნის შესაძლებლობა კიდევ ერთხელ მომეცა. თქვენს მოციქულებთან, აკჩურინთან და ლაზარევთან, შეხვედრის საშუალება რეგულარულად მაქვს, მაგრამ იმის მოთხოვნილებაც გამიჩნდა, რომ კვლავ ჩამოვსულიყავი თქვენთან ამ ქვეყანაში და ჩემს და-ძმებთან თანაზიარება მქონოდა. პატარა ბავშვივით მიხარია, რომ ეს შესაძლებელი გახდა. აქ პირადად ჩემზე არ არის ლაპარაკი, ჩემთვის მნიშვნელოვანია, რომ ერთად მოვემზადოთ იესო ქრისტეს მეორედ მოსვლისთვის. ეს ჩვენი საერთო მიზანია და მიხარია, როცა ვხედავ, რომ ერთმორწმუნე და-ძმანი რუსეთშიც აგრძელებენ მომზადებას. შეიძლება ახლა ვინმემ თქვას: „ეს ხომ ხუთი წლის

წინათაც თქვით, როცა რუსეთში იყავით. უფალი იესო კი ჯერაც არ მოსულა. და როდის მოვა სინამდვილეში?“ არ ვიცი. მე მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რასაც ბიბლია ამბობს: ის მაშინ მოვა, როცა ჟამი აღსრულდება. ეს არის ერთადერთი, რასაც მოწყალე ღმერთი გვეუბნება. ნუ ღელავ, ის მაშინ მოვა, როცა ჟამი აღსრულდება.

იუდეველების დროსაც ასე იყო. მათ დაპირება, ღვთიური აღთქმები, ჰქონდათ, რომ მოვიდოდა მესია. ეს დრო საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა. მაგრამ პავლე მოციქულმა თქვა: „როცა მოვიდა სისავსე ჟამისა“, იესოც დაიბადა. და რას ნიშნავს „როცა მოვიდა სისავსე ჟამისა“? ეს იმას არ ნიშნავს, რომ საყვარელ ღმერთს ლოდინი მოუწია, ვიდრე აქა-იქ რაღაც მოხდებოდა და ყველა პირობა დ ა კ მ ა ყ ო ფ ი ლ ე ბ უ ლ ი იქნებოდა. ღმერთს არ სჭირდება ლოდინი, ვიდრე დედამიწაზე რაღაც მოხდება, რომ მისი ძე მოავლინოს. მარტივად არის ნათქვამი, როცა აღსრულდა ჟამი: და როდესაც ღმერთმა გადაწყვეტილება მიიღო, ახლა უკვე გადაწყვეტილია, მერე მოავლინა იგი. ხოლო სულიწმიდამ თქვა: „იესო ისევ მოვა!“ მაშინ მოწაფეებმა იკითხეს: „როდის იქნება ეს და რა იქნება იმის ნიშანი, რომ ეს უნდა მოხდეს?“ პასუხი იგივეა: როცა აღსრულდება ჟამი. მაშასადამე, საქმე იმაში არ არის, რომ ღმერთი უნდა დაელოდოს, ვიდრე დედამიწაზე რამე მოხდება, შესრულდება პირობები, ხოლო მერე, როცა ადამიანებს ყველაფერი წესრიგში ექნებათ, ღმერთი შეძლებს, მოავლინოს მისი ძე. ღმერთი არ არის დამოკიდებული იმაზე, თუ რა ხდება დედამიწაზე. ის არც მე დამელოდება. ის მაშინ მოავლენს მის ძეს, როცა ამას გადაწყვეტს. შეიძლება არის ნიშანი, რითიც შეგვიძლია ამოვიცნოთ, რომ უფალი მოდის. უფალმა კი თქვა: „არა, ეს არ გეცოდინებათ.“ ის მოვა იმ დროს, როცა ყველაზე ნაკლებად ელოდებით. ის არ მოგცემთ გარეგან ნიშნებს. ვერ შეძლებთ გამოთვალოთ: ოჰ, ახლა ეს მოხდა და ის მოხდა, და უფალი შეიძლება ახლა მოვიდეს. იესომ თქვა: „არც ერთ ადამიანს არ შეუძლია იცოდეს დღე და საათი, არც მათი გამოთვლა შეუძლია.“ ის უბრალოდ შესაბამის მომენტში მოვა. მაშასადამე, არ არსებობს გარეგანი ნიშნები, რის მიხედვითაც შეიძლება ითქვას: „ახლა უნდა მოვიდეს უფალი.“ ქრისტეს მეორედ მოსვლის დრო და ჟამი არ არის დამოკიდებული იმაზე, თუ რა ხდება დედამიწაზე. ღმერთი ღმერთია. ის ზუსტად იმას აკეთებს, რაც სურს და როცა სურს. ის არ არის ადამიანებზე დამოკიდებული.

> რაც არ უნდა მოხდეს, ახლა სწორედ ის დროა, რომ ზეცას ვუყუროთ.

ახლა კი ნამდვილად იტყვით: „დიახ, მაგრამ მათესა და ლუკას სახარებებში უფალმა იესომ ხომ ყველაფერი ჩამოთვალა, რაც უკანასკნელ ჟამს მოხდება.“ სწორია. უფალი იესო სულ უკანასკნელ დღეებზე, ბოლო ჟამზე საუბრობდა, ყველაფერზე, რაც ამ დროს მოხდება. მაგრამ კარგად უნდა გვესმოდეს, თუ რას გულისხმობდა იესო, როცა უკანასკნელ დღეებზე, ბოლო ჟამზე ლაპარაკობდა. იესო ქრისტესთვის უკანასკნელი დღეები, ბოლო ჟამი ორმოცდაათობით დაიწყო სულიწმიდის გარდამოსვლით. იესოსთვის ეს იყო ბოლო ჟამის დასაწყისი. ეს პირველ ორმოცდაათობას დაიწყო და უკანასკნელი სამსჯავროს დროს დასრულდება. იესოსთვის ეს არის ბოლო ჟამი, და როცა იგი იმაზე ლაპარაკობდა, თუ რა მოხდებოდა მის მოსვლამდე, აღწერა ყოველივე ის, რაც პირველი ორმოცდაათობის, მამასთან მისი დაბრუნების, შემდეგ მოხდა. აი, ასე უნდა გავიგოთ მისი სახარება. ის, რაც მან ისე აღწერა, როგორც ბოლო ჟამი, ეხება ყველა ქრისტიანს ეკლესიის დასაწყისიდან მის დასასრულამდე. მან თქვა: „ბოლო ჟამს იქნება ომები და განადგურება“, რაც იუდეველებმა საკმაოდ მალე საკუთარ თავზე იწვნიეს. ქრისტესშობიდან სამოცდაათ წელს რომაელები მოვიდნენ და ქალაქი იერუსალიმი და ტაძარი დაანგრიეს. მან თქვა, რომ ბოლო ჟამს ქრისტიანებს დევნას დაუწყებენ. ქრისტიანებმა ეს ათი წლის შემდეგ გამოსცადეს.

წამოდექი და დაელოდე უფალს.

მათ სდევნიდნენ. იესომ თქვა: „იქნებიან ცრუწინასწარმეტყველნი. ისინი იტყვიან: აქ არის ქრისტე, იქ არის ქრისტე, ის დიდ სასწაულებს ახდენსო.“ ამას ჯერ კიდევ პავლე შეესწრო, როცა ხალხი მოდიოდა და ამბობდა: „ჩვენც მოციქულები ვართ და სახარება ასე უნდა გავიგოთ. ჩვენთანაც ქრისტეა.“ ის ბუნებრივ კატასტროფებზე ლაპარაკობდა. ძალიან ბევრ უსიამოვნო სიტუაციებზე საუბრობდა. და-ძმანო, თუ ისტორიაში ჩავიხედავთ, ვნახავთ, რომ ყოველივე ეს თავიდანვე არსებობდა. ბუნებრივია, ყოველი თაობა ასე ფიქრობს: ის, რაც ჩვენს დროში ხდება, მეტისმეტად ცუდია. ასე ცუდად საქმე არასოდეს ყოფილა. მაგრამ ეს ძალიან ეგოცენტრულია. ყოველთვის მიწევს ამის თქმა: „კარგი, დღეს ცუდია, მაგრამ იქნებ მეორე მსოფლიო ომის დროს ცხოვრება გერჩივნა? იქნებ მონად ყოფნა გერჩივნა XV საუკუნეში? იქნებ ისეთ ეპოქაში ცხოვრება გერჩივნა, როცა ხალხი შიმშილით იხოცებოდა?“ თუ ცოტა გულწრფელნი ვიქნებით და უკან მოვიხედავთ, ან ჩვენს გარშემო მიმოვიხედავთ, მაშინ მოგვიწევს იმის აღიარება, რომ, მართალია, დღეს ცუდად არის საქმე, მაგრამ უფრო უარესი დროც ყოფილა. ეს კი იმას ადასტურებს, რომ ამ სიტყვების თქმა არ შეგვიძლია: „რადგან დღეს ასეა, უფალი ახლა უნდა მოვიდეს.“ ის, რაც იესომ აღწერა, მუდმივად ხდებოდა ქრისტიანობის ისტორიაში. მაშასადამე, მას ამის თქმა არ უნდოდა: „თუ ეს მოხდება, მაშინ მოვალ.“ მან თქვა: „თუ ეს მოხდება, მაშინ ასე და ასე უნდა მოიქცეთ.“ ამაშია განსხვავება. როცა მსგავსი რამ მოხდება, უნდა წამოიმართოთ და ზემოთ ასწიოთ თავი.

ძვირფასო და-ძმანო, ეს არის დღევანდელი გზავნილი, როგორიც ის ქრისტიანობის ყველა ეპოქაში იყო. რაც არ უნდა ხდებოდეს მსოფლიოში, რაც არ უნდა ხდებოდეს ახლა შენს ცხოვრებაში, სწორედ ახლაა ის დრო, წამოიმართო და ზეცას შეხედო. დღეს ასეთი გზავნილი გვაქვს ჩვენ და ყველა ღვთის შვილს მსოფლიოში. სწორედ ახლა, ამ ეპოქაში, წამოიმართე, წამოდექი.

მაშასადამე, არ შეგვიძლია მივიდეთ ღმერთთან და ვუთხრათ: „კარგი, მაგრამ ასეთ ვითარებაში ვერ დავრჩები შენი ერთგული.“ ღმერთი გვეუბნება:



„ადექი, ახლა და დღეს, ამ სიტუაციაში, ადექი, ნუ წევხარ.“ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ: ფარ-ხმალს ნუ დაყრი. შეიძლება იმედგაცრუებულნი ვართ, რადგან უფალი ჯერ არ მოსულა. იმედგაცრუებულნი ვართ, ვინაიდან მსოფლიოში არსებული სიტუაცია არ გვაწყობს, ასეთი ცხოვრება არ გვაწყობს. იმედგაცრუებულნი ვართ, რადგან ჩვენი ეკლესიის განვითარება სულ სხვაგვარად წარმოგვედგინა. გაიხსენეთ მოწაფეები, როცა იესომ უთხრა, რომ შეიპყრობდნენ მას და მოკვდებოდა. ისინი მასთან ერთად გეთსემანიის ბაღში წავიდნენ, და როგორც ბიბლია ამბობს, მწუხარებისგან ჩაეძინათ. იმდენად იმედგაცრუებულნი და დამწუხრებულნი იყვნენ, რომ დაეძინათ, რაც ალბათ გარკვეულ რისკს შეიცავადა. ეს ყველაფერი სულ სხვაგვარად წარმოგვედგინა. არც საყვარელმა ღმერთმა მოგვცა ის, რაც გვინდოდა. სიტუაციაც სრულიად განსხვავებულია, ვიდრე დაგეგმილი იყო. ყველაფერი სხვანაირად წარმოგვედგინა. ყოველივე ეს სულ სხვაგვარად გამოიყურება, რაც იმედგაცრუებას იწვევს. იმის რისკიც არსებობს, რომ მწუხარებისა და იმედგაცრუებისგან ჩაგვეძინოს. ამ დროს სულიწმიდა გვეუბნება: „არა, ადექი! დღევანდელი სიტუაცია სულაც არ გაძლევს ჩაძინების მიზეზს. ადექი, განაგრძე, არ დანებდე.“ „ადექი“ უფლის მოლოდინსაც ნიშნავს.

დიახ, არსებობს სხვადასხვა სიტუაციები. დიახ, არსებობენ განსხვავებული ადამიანები, მაგ., ჩვენთან ოჯახში. ჩვენი ოჯახის წევრების ერთი ნაწილი არასოდეს ჩქარობს, რაც არ უნდა ხდებოდეს. და მართლაც, ისინი ყოველთვის იგვიანებენ. მეორე ნაწილი კი ნახევარი საათით ადრეა წასასვლელად მზად იმ დევიზით, რომ არავინ იცის, რა შეიძლება მოხდეს. მოდით, ნახევარი საათით ადრე მოვემზადოთ. არ ვიტყოდი, რომ ერთნი კარგად იქცევიან, მეორენი კი - უფრო ცუდად. რა თქმა უნდა, ჩემი მეუღლე კარგ მხარეს არის, მე კი - ცუდ მხარეს, მაგრამ სულიერი თვალსაზრისით, მაწუხებს და ზოგჯერ მეშინია იმისა, რომ ღვთის შვილებმა თავიანთ სკამებზე ჯდომა არ ამჯობინონ და არ თქვან: „დიახ, ჩვენ ველოდებით უფალს და, აბა, ვნახოთ, როდის მოვა.“ სულიწმიდა გვეუბნება: „ადექი, დაელოდე უფალს!“ რაც გარკვეული მღელვარების გაჩენას ნიშნავს. უფალი მალე მოვა. რაღაც უნდა გავაკეთო. მზად უნდა ვიყო და მარტო ეს არ ვთქვა: „დიახ, მწამს, რომ უფალი მოვა. ოდესღაც მოვა.“ არა, ცოცხალი იმედი უნდა გვქონდეს, გარკვეულ მღელვარებაში უნდა ვიცხოვროთ. უფალი მოვა! უნდა ვიჩქარო. მინდა რომ მზად ვიყო, როცა მოვა.

შემდეგ სულიწმიდა ამბობს: „დიახ, მომზადებაში მოყვასთან შერიგება და მისთვის მიტევება შედის.“ „კი, ვიცი“, თუმცა არც ერთი წლის შემდეგ შერიგებულან. „დიახ, ვიცი, მზად უნდა ვიყო. ჯერ უნდა გადავლახო ეს პრობლემა, უნდა შევიცვალო. პრობლემა ჯერ ისევ მოსაგვარებელი მაქვს.“ თუმცა ექვსი თვის შემდეგაც არაფერი იცვლება. ამ დროს საკუთარ თავს უნდა ვკითხოთ: „ნამდვილად კი ელოდები უფალს? მართლა გჯერა, რომ ყოველ წამს შეიძლება მოვიდეს იგი?“ ნათლად და გასაგებად უნდა ვთქვა: ცხადია, არა. შენ ხომ არაფერს აკეთებ. შენს სკამზე ჯდომა გირჩევნია. ერთ ნაბიჯსაც არ დგამ მოყვასისკენ. და საერთოდ არაფერს აკეთებ, რომ შეიცვალო. ალბათ გწამს ქრისტეს მეორედ მოსვლისა, მაგრამ არ ელოდები მას. ადექი! მოემზადე! გააკეთე რამე! დაძლიე, შეიცვალე, შეურიგდი, მიუტევე. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, ბოლოს და ბოლოს, გააკეთე ის, რასაც ღმერთი შენგან ითხოვს. კიდევ ერთხელ, თუ ეს ცოცხალი იმედი, ეს მღელვარება ცოცხლებს ჩვენში, მაშინ იმის სურვილი გვექნება, რომ დღესვე ვიყოთ მზად და ძალ-ღონე არ დავიშუროთ, რამეთუ დღესვე გავაკეთოთ ის, რასაც საყვარელი ღმერთი ჩვენგან ითხოვს. გულახდილად რომ გითხრათ, ამ დროს საკუთარ თავსაც ვუქადაგებ. მეც უნდა გავაკეთო ის, რასაც ვქადაგებ. გამოგიტყდებით, ამის გასაკეთებლად ზოგჯერ ცოტა მეტი დრო მჭირდება. გულახდილად რომ გითხრათ, მე ჯერ კიდევ მჭირდება საკუთარ თავზე მუშაობა. პირველმოციქულად ყოფნა არანაირ უპირატესობას არ მანიჭებს უფლის დღისათვის მომზადებაში. თუ ასე არ მოვიქცევი, მე იქ არ ვიქნები. ამას ჩემს სასულიერო თანამდებობასთან არაფერი საერთო არა აქვს. ჩვენ ყველა უნდა მოვემზადოთ. ადექი, წამოიმართე.

იესო ესაიას სიტყვებს იყენებდა, ესაიამ თქვა: „ადექ, განათდი.“ თანამედროვე ენით ასე ვიტყოდით: „წამოდექი, გამოჩნდი.“ ქრისტიანებისთვის რისკის

სამხ. მოციქული ტომას დოიბელი

მოციქული გერდ კისელბახი

სამხ. მოციქული რიუდიგერ კრაუზე

მოციქული მარატ აკჩურინი

შემცველია ის, რომ ადამიანებს დამალვა სურთ. თვალში მოხვედრა არ უნდათ. პრობლემების თავიდან ასაცილებლად უბრალოდ არაფერს აკეთებენ. იმას აკეთებენ, რასაც სხვები. დინებას მიჰყვებიან. თვალში მოხვედრა არ სურთ. უნდათ, რომ, შეძლებისდაგვარად, კომფორტულად იგრძნონ თავი. იესო კი გვეუბნება: „არა, ასე არ გამოვა. უბრალო მონაწილე ვერ გახდები. იესო ქრისტეს მიმართ რწმენა უნდა აღიარო.“ და თუ შენი მეზობელი ისეთ რამეს აკეთებს, რაც არ მიესადაგება იესო ქრისტეს, მაშინ უნდა უთხრა: „მე ამაში მონაწილეობას ვერ მივიღებ. ახლა ამას ვერ ვიტყვი, ამას ვერ გავაკეთებ.“ „და რატომ არა? ამას ხომ ყველა აკეთებს?!“ „არა, მე ქრისტიანი ვარ. ქრისტიანი ასე ვერ მოიქცევა.“ ზოგჯერ ეს ძალიან კონკრეტულია. სულიწმიდა აქაც გვეუბნება: „წამოდექი. აღიარე იესო ქრისტეს მიმართ რწმენა. ნურავის მისცემ იმის საშუალებას, რომ რამე ძალით მოგახვიოს თავს. შენ ქრისტიანი ხარ. არის რაღაცეები, რისი გაკეთებაც არ შეგიძლია. არის რაღაცეები, რისი თქმაც არ შეგიძლია. წამოდექი. აჩვენე, რომ ქრისტიანი ხარ.“ეს იმას არ ნიშნავს, რომ მთელი მოსახლეობა უნდა მოვაქციოთ, მაგრამ უნდა ნახონ და თქვან: „მე ქრისტიანი ვარ.“ წამოდექით, თავი მაღლა ასწიეთ. ეს კი ნიშნავს: აიხედეთ ზემოთ.

ჰო, ყველაფერი ისევ ისეა, ადამიანები ტენდენციურად ყოველთვის იმას უყურებენ, რაც არ გამოდის. ხშირად მითქვამს: „ნუ უყურებთ იმას, რასაც ეშმაკი აკეთებს, იმას უყურეთ, რასაც ღმერთი აკეთებს.“ მოდით, სულ ზემოთკენ ვიყუროთ. და მაინც რა არის იქ, მაღლა? იქ, მაღლა ჩვენი ღმერთია, ჩვენი მამა. იესომ თქვა: „ჩემი მამა ყველაზე უმეტესია.“ ძვირფასო და-ძმანო, მინდა, რომ ეს კიდევ ერთხელ ღრმად ჩაიბეჭდოს ყველა ჩვენთაგანმა გულში. „ჩვენი მამა ყველაზე უმეტესია.“ ნუ დაივიწყებ ამას, მას უყურე. ის ისევ აკონტროლებს სიტუაციას. მისი ნებართვის გარეშე არაფერი ხდება და ის ზრუნავს იმაზე, რომ ვერაფერმა შეუშალოს ხელი ხსნის გეგმას. რაც არ უნდა გააკეთოს ქვესკნელის სულმა, ვერაფერს დააკლებს ხსნის ღვთიურ გეგმას. ჩვენი მამა ყველაზე უმეტესია. არის სიტუაციები, რომლებსაც საერთოდ ვერ ვიგებთ. მაშინ, მოდით, მაღლა ავიხედოთ. ჩვენი მამა ყველაზე უმეტესია. თუნდაც არ მესმოდეს მისი, ვიცი, რომ ის შეცდომას არ უშვებს. შეხედე მაღლა იესო ქრისტეს. მან საბოლოოდ სძლია ბოროტს. მან ცოდვა და სიკვდილი დაამარცხა და ჩვენ აგვირჩია. მისი სურვილია, რომ საუკუნოდ მასთან ვიყოთ. სურს, რომ თავისკენ მიგვიზიდოს. დღევანდელ სიტუაციაშიც მაღლა იყურე. იესო ქრისტეს, რომელმაც ცოდვა და სიკვდილი დაამარცხა, ბოროტება დაამარცხა, სურს, რომ მასთან მიხვიდე. შენი არსებობის აზრი ეს არის. მაშინაც კი, როცა შენს ცხოვრებაში ყველაფერი უკუღმა მიდის, ამაზე იფიქრე, მიზანი ეს არის. მან შენ აგირჩია. ასე მოიქეცი მაშინაც, თუ ყველა ადამიანისგან მოძულებული ხარ, გული გტკივა, როცა ხვდები, რომ შენი მადლიერი არავინ არის, არ გაღიარებენ, პატივს არ გცემენ. ზოგჯერ ასეთი შთაბეჭდილება გვრჩება: „არაფრად მაგდებენ.“ ამ დროს „მაღლა აიხედე“. იქ არის ის, ვინც შენთვის მოკვდა. აი, ასე გაფასებს იგი, აი, ასე უყვარხარ მას. როცა ზედ არავინ გიყურებს, როცა შენი ქმარი, შენი ცოლი, შენი შვილებიც კი პატივს აღარ გცემენ, როცა ყველა ამბობს: მასთან ვერაფერს გავაწყობთო, მაღლა აიხედე. იესო ქრისტე, ღვთის ძე, შენთვის, პირადად შენთვის მოკვდა, რადგან უყვარხარ. კიდევ ერთხელ: ძალიან მტკივნეული შეიძლება იყოს, როცა ადამიანები არ გაღიარებენ, როდესაც საკუთარი ოჯახი გაწბილებს. იქნებ თემშიც არავის უყვარხარ და ამ დროს ისეთი გრძნობა გიჩნდება, რომ ეს შენთვის სულერთია. კიდევ

ერთხელ შეგნებულად ვიმეორებ: აიხედე მაღლა. იესო ქრისტე შენთვის მოკვდა. ის იზიარებს შენს ჭირსა და ლხინს. ის გულგრილი არ არის. მისთვის შენი მცირედი საწუხარიც მნიშვნელოვანია. შენს უმცირეს ტკივილსაც კი იზიარებს. დღევანდელ სიტუაციაში მაღლა აიხედე, შეხედე ღმერთს, მამას, შეხედე იესო ქრისტეს. აიხედე მაღლა. სულიწმიდა გიჩვენებს გზას, რომელიც უნდა გაიარო. დღევანდელ სიტუაციაში სწორი გზა ეს არის.

და კიდევ: აიხედე მაღლა, შეხედე იესო ქრისტეს, პირველ ადამიანს, რომელიც ცათა სასუფეველში შევიდა; დაე, შენთვის მაგალითი იყოს ის. და რა უნდა გავაკეთო ახლა? როგორ მოვიქცე? მიჰყევი იესო ქრისტეს მაგალითს. და როცა ყველაფერი რყევას და მსხვრევას დაიწყებს, მაღლა აიხედე. ის არის ჩემი მისაბაძი მაგალითი. ასეთი მინდა ვიყო. ეს მეც მეხება, როცა იმ ყველაფერს განვიცდი, რაც იესომ აღწერა; იესო ქრისტე არის და დარჩება ჩვენს მისაბაძ მაგალითად. ჩვენი სურვილია, იესო ქრისტეს ხატად ჩამოვყალიბდეთ.

ახლა კი აიხედე მაღლა, შეხედე, რა მოგიმზადა იესო ქრისტემ: საუკუნო სიცოცხლე მის დიდებაში, ღმერთთან სრული თანაზიარება. რასაც არ უნდა განიცდიდე დღეს, ღირს, დარჩე მისი ერთგული. ღვთის დიდება იმდენად დიდია, რომ აღარც კი გაიხსენებ იმას, რაც დედამიწაზე განიცადე. ამის თქმა იოლია, მაგრამ როცა ამას ვამბობ, ვფიქრობ იმაზეც, თუ რას განიცდის ზოგი და-ძმა მსოფლიოში. ვფიქრობ ზოგ იმ ძმაზე, დაზე, რომლებსაც ნაყოფიერი ცხოვრება ჰქონდათ, მაგრამ საშინელი დასასრული დაუდგათ. ამაში ჩაღრმავება არც კი მინდა. მერე კი ვფიქრობ, როდესაც ისინი იესოსთან იქნებიან, ეს ყველაფერი დაავიწყდებათ. და ასეთი აზრი მოგვდის: ეს ხომ შეუძლებელია. ამის დავიწყება შეუძლებელია. და მაინც, ღვთის დიდება იმდენად დიდია, რომ აღარასოდეს გაახსენდებათ ეს ყოველივე.

დიდება, რისი მოცემაც იესო ქრისტეს სურს ჩვენთვის, ბევრად აღემატება იმ ყველაფერს, რისი წარმოდგენაც კი შეგვიძლია. და ეს იაფასიანი ნუგეში არ არის: დიახ, ყველაფერი კარგად იქნება. ეს ღვთიური დაპირებაა. „ღმერთი ჭეშმარიტებისა“ გვეუბნება: „გარანტიას გაძლევ, რომ ის, რისი მოცემაც მინდა, ბევრად აღემატება შენს მიერ განცდილ ყველა ტანჯვას.“

ჩვენ ბოლო ჟამის პერიოდში ვცხოვრობთ. ჩვენ იმ ყველაფერთან გვიწევს შეხება, რაც იესომ აღწერა. ჩვენი მდგომარეობა ამჟამად ასეთია: მოახლოებულია ჩვენი ხსნა. მოდით, წამოვდგეთ, აქტიურად დაველოდოთ უფალს, მოვემზადოთ და ისევ და ისევ მაღლა ვიყუროთ. მერე კი ყოველივე ამის მომსწრე და მონაწილე გავხდებით. ჩვენი უფალი მალე მოვა! ამინ.

ძირითადი აზრები

ქრისტეს მიმდევრებს სირთულეებთან უწევთ დაპირისპირება. ეს სირთულეები არ გვაკარგინებს მხნეობას. ჩვენ კვლავაც ვემზადებით იესოს მეორედ მოსვლისთვის და მის მაგალითს ვბაძავთ. .

პეტრე უარყოფს იესოს

ლუკ. 22, 24-62-ის მიხედვით

როცა იესო მოწაფეებთან ერთად საპასექო კრავს მიირთმევადა, უთხრა მათ, რომ ერთ-ერთი მათგანი გასცემდა მას. მოწაფეები ერთმანეთს ეკითხებოდნენ, თუ ვინ იქნებოდა ეს. მათ იმაზეც დაიწყეს კამათი, თუ ვინ ითვლებოდა მათ შორის უფრო დიდად. იესომ თორმეტივეს უთხრა, რომ ისინი ერთმანეთს უნდა ემსახურონ.

იესომ უთხრა პეტრეს: „სატანამ დააპირა თქვენი გაცხრილვა, როგორც ცხრილავენ ხორბალს. მაგრამ მე ვილოცე შენთვის, რათა არ შემცირდეს შენი რწმენა; და როცა მოიქცევი, განამტკიცე შენი ძმები“. პეტრემ უპასუხა: „უფალო, მზადა ვარ, საპყრობილეშიც წამოგყვე და სასიკვდილოდაც“.
ამის მერე იესომ უთხრა: „დღეს, მამლის ყივილამდე სამჯერ უარმყოფ და იტყვი, რომ არ მიცნობ“.
პასექის შემდეგ იესო ზეთისხილის მთაზე, გეთსემანიის ბაღში, წავიდა; მოწაფეებიც გაჰყვნენ მას. უფალი სალოცავად მოშორებით გავიდა.

მოწაფეებსაც უნდა ელოცათ, რათა არ მოდუნებულიყვნენ.
იესო ასე ლოცულობდა: „მამაო, თუ გნებავს, ამაცილე ეს სასმისი! თუმცა იყოს არა ჩემი ნება, არამედ შენი!“
ანგელოზი მივიდა მასთან და აძლიერებდა. იესო უფრო მხურვალედ ლოცულობდა. ის სიკვდილს ებრძოდა. მისი ოფლი სისხლის წვეთებივით ეცემოდა მიწაზე.
მერე წამოდგა და მოწაფეებთან მივიდა. დამწუხრებულებს ამასობაში ჩაეძინათ. იესომ გააღვიძა ისინი, მათ უნდა ელოცათ.
ამ დროს იუდამ, ერთ-ერთმა თორმეტთაგან, იესოს მოწინააღმდეგეები მიიყვანა

ბაღში. იესო შეიპყრეს და
დასაკითხად მღვდელმთავრის
სახლში მიიყვანეს. პეტრე
შორიახლოს მისდევდა.
სახლის ეზოში ხალხი ცეცხლთან
თბებოდა; პეტრეც მიუჯდა მათ.
ერთი მოახლე აკვირდებოდა მას
და თქვა: „ესეც მასთან იყო.“
პეტრემ უარყო და უთხრა:
„ქალო, არ ვიცნობ მას.“
ცოტა ხნის შემდეგ სხვამ დაინახა
იგი და თქვა: „შენც ერთი
მათგანი ხარ.“
პეტრემ მიუგო და უთხრა: „არა
ვარ, კაცო.“
ცოტა ხნის შემდეგ, დაახ. ერთი
საათის შემდეგ, კიდევ ერთმა
დაიწყო ამის მტკიცება და თქვა:
„ნამდვილად ესეც მას ახლდა,
ვინაიდან გალილეველია.“
პეტრემ მესამედ უარყო: „არ
ვიცი, რას ამბობ, კაცო.“ ამის
თქმა იყო და იყივლა მამალმა.
იესო მობრუნდა და პეტრეს
შეხედა. პეტრეს გაახსენდა,
რაც იესომ უთხრა: „მამლის
ყივილამდე სამჯერ უარმყოფ და
იტყვი, რომ არ მიცნობ“.
პეტრე გარეთ გავიდა და მწარედ
ატირდა.

წყარო: საბავშვო ჟურნალი, გამოცემა 04. 2025 წ.; ილუსტრაციები: მირელა ფორტუნატი

სტუმრად ალფრედთან პარიზში (საფრანგეთი)

იცოდით, რომ ეიფელის კოშკი ინჟინერმა გუსტავ ეიფელმა ააგო 1889 წლის მსოფლიო გამოფენისთვის, რათა ეჩვენებინა, თუ რამდენად მაღალი ნაგებობის შექმნა შეიძლება რკინით? და რომ პარიზის მოსახლეობას თავდაპირველად საერთოდ არ მოსწონდა იგი? ორმოცი წლის განმავლობაში ეს კოშკი, თავისი 312 მეტრი სიმაღლით, მსოფლიოში ყველაზე მაღალი ნაგებობა იყო. მხოლოდ 1930 წელს აშენდა ნიუ-იორკში კიდევ უფრო მაღალი ცათამბრჯენი. დღეს ეიფელის კოშკი პარიზის ღირსშესანიშნაობაა. ბევრი ადამიანი მოდის აქ და იღებს ფოტოებს. ჩემსავით.

მე ალფრედი ვარ. მე ვცხოვრობ პანტენში, პარიზის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე გარეუბანში. ეს ფოტო ჩემს ბოლო დაბადების დღეზეა გადაღებული. იქ ნახავთ, რამდენი წლის ვარ.

აქ მხედავთ მამაჩემ ენტონისთან, დედაჩემ კატიასთან და ჩემს და დარიასთან ერთად. ის სამი წლისაა. ძირითადად კარგად ვუგებთ ერთმანეთს და მოგვწონს, როცა ერთად რაღაც სისულელეების ჩავდივართ.

დროდადრო ვსტუმრობთ პარიზის მუზეუმებსა და ცნობილ ღირსშესანიშნაობებს. აქ, მაგალითად, ლუვრში მხედავთ. მუზეუმი მის შიდა ეზოში აგებული შუშის პირამიდებით არის ცნობილი, რომლებიც შენობის ინტერიერიდნაც ჩანს, ასევე იტალიელი მხატვრის, ლეონარდო და ვინჩის ნახატით „მონა ლიზა“.

მმმ, გემრიელია! მიყვარს ბლინები. ნამდვილად გეცოდინებათ, რა არის. კროკ მონსიეც იცით, რა არის? ეს არის ფრანგული სენდვიჩი ყველით, მოხარშული ლორით და ბეშამელის სოუსით. ღუმელში მას კიდევ უფრო მეტ ყველა უმატებენ. დელიკატესია!

რაც შეეხება საჭმელს: საფრანგეთში მშვენიერი ტრადიცია გვაქვს: იანვარში, ნათლისღებაზე, ვამზადებთ მრგვალ, ბრტყელ ნამცხვარს სიურპრიზით (Galette des Rois-ს), რომელსაც აქვს ნუშის კრემი და შუაში ჩადებული ერთი პატარა კერამიკული ფიგურა. ვინც ამ ფიგურას ნამცხვრის კუთვნილ ნაჭერში აღმოაჩენს, ერთი დღით მეფე ან დედოფალი ხდება და ქაღალდის გვირგვინის ტარების უფლება ეძლევა. წელს ეს დღესასწაული თემთან ერთად აღვნიშნეთ.

ყოველ კვირას დედასთან და დასთან ერთად ღვთისმსახურებაზე დავდივარ პარიზის ცენტრალურ ეკლესიაში. აქ ეკლესიის შესასვლელს ხედავთ. ჩემი და საკვირაო სკოლის მოსამზადებელ კლასში დადის, მე კი საკვირაო სკოლაში დავდივარ.

ჩვენ ასევე ვმღერით ბავშვთა გუნდში. გასულ წელს ადვენტის დღესასწაულზე გვქონდა გამოსვლა.

მე ფრანგული დაწყებითი სკოლის, École élémentaire-ის, მესამე კლასში ვარ. ჩემი საყვარელი საგანი გეოგრაფიაა, რადგან სხვა ქვეყნები ძალიან საინტერესოდ მიმაჩნია.

მიყვარს ხატვა. აქ ხატვის გაკვეთილზე მხედავთ. თქვენც გიყვართ ხატვა?

წყარო: საბავშვო ჟურნალი, გამოვიდა 04. 2025 წ.; ფოტოები: პირადი; ChonnieArtwork/stock.adobe

რას ნიშნავს ხსნა და გამოსყიდვა

იესო ქრისტემ ეკლესია დაარსა და მოციქულები მიავლინა, რამეთუ ადამიანებისათვის სრული ხსნა გაეხადა მისაწვდომი. ამიტომაც აუცილებელია იმის სწორად გაგება, თუ რაში მდგომარეობს ხსნა.

ილუსტრაციები: Sergii Malyk/Yuriy Bizhanov/adobe

ცნება „ხსნა“ საკმაოდ განსხვავებულ ასპექტებს მოიცავს. ძველსა და ახალ აღთქმაში ლაპარაკია გათავისუფლებაზე, გადარჩენაზე, მიტევებაზე, ასევე გამარჯვებაზე და გამოსყიდვაზეც. მთელი ისტორიის მანძილზე ეს მრავალგვარობა იმაში ვლინდება, თუ როგორ ესმოდათ ხსნა ქრისტიანებს, ჩვენს ეკლესიაშიც. იმ დროისა და ადგილის მიხედვით, რომელშიც ცხოვრება უწევდათ, ხსნის იმ ასპექტზე ამახვილებდნენ ყურადღებას, რომელიც ყველაზე კარგად შეესატყვისებოდა მათ მოლოდინებს. ეს ფენომენი დღესაც იჩენს თავს. ჩვენი სიტუაციიდან გამომდინარე, ხსნას, უპ. ყოვლისა, ვუყურებთ როგორც ტანჯვისგან გათავისუფლებას, საფრთხისგან თავის დაღწევის საშუალებას ან საყვარელი ადამიანის ხელახლა ნახვის შესაძლებლობას. დროს მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს მთავარი: იესო ქრისტეს, ჩვენი მაცხოვარისა და მხსნელის, ნება და საქმეები.

გათავისუფლება და დაცვა

განმარტების მიხედვით ხსნა ყოველთვის ღვთისგან მოდის. ღმერთი ისრაელის ხალხის ისტორიაში ეგვიპტელთა მონობისგან მათ გასათავისუფლებლად ჩაერია. ღვთის ძე დედამიწაზე იმისათვის მოვიდა, რომ ცოდვის მონობიდან გავეთავისუფლებინეთ და ღმერთთან მისასვლელი გაეხსნა ჩვენთვის. იესო ქრისტე ისევ მოვა, რამეთუ რჩეულები მის სასუფეველში წაიყვანოს.

იყო დრო, როცა ჩვენს ეკლესიაში უფლის მეორედ მოსვლას უყურებდნენ, უპ. ყოვლისა, როგორც გათავისუფლებასა და დაცვას

- უფალი მეორედ მოვა, რათა ტანჯვისგან გვიხსნას;
- ის დაგვიცავს დიდი ვაების ჟამისგან, იმ უბედურების ჟამისგან, როცა ბოროტება პიკს მიაღწევს ამქვეყნად;
- პირველ აღდგომაში მონაწილეებს არ მოუწევთ ღმერთის წინაშე წარდგომა უკანასკნელი სამსჯავროს დროს.

მორწმუნეებს საიდუმლოთა მიღებისა და მოციქულობის მიმართ ერთგულებისკენ მოუწოდებენ, რამეთუ ქრისტეს მეორედ მოსვლის დროს მიღებულ იქნან.

ეს გაგება ჯერ ისევ ძალაშია. თუმცა რეკომედირებულია, იგი სახარების

ყოვლისმომცველ კონტექსტში ჩავსვათ. გათავისუფლებასა და დაცვაზე კონცენტრირება, როგორც ერთადერთ ასპექტზე, გარკვეულ რისკებს შეიცავს:



- მორწმუნე შეიძლება ცდუნებაში შევიდეს და გარე სამყაროს განუდგეს - მისთვის მნიშვნელოვანი ერთგულების შენარჩუნება ხდება, რამეთუ ნაწინასწარმეტყველევი კატასტროფები თავიდან აიცილოს. თანამოძმეთა ბედი კი უკანა პლანზე გადადის;
- მისიონერული საქმიანობა აღარ არის მარტო მოყვასის სიყვარულით მოტივირებული, არამედ იმის სურვილით, რომ რაც შეიძლება სწრაფად მოხდეს ამქვეყნიური ტანჯვისგან თავის დაღწევა („... როცა უკანასკნელი სული აღიბეჭდება სულით...“);
- საიდუმლოები შეიძლება არასწორად იქნას გაგებული როგორც თვითმიზანი - მათი მიღება ხსნის გარანტიას იძლევა;
- ამქვეყნიური ცხოვრება ნეგატიურად არის წარმოჩენილი - დედამიწა სხვა არაფერია, თუ არა სატანჯველი, რომელსაც რაც შეიძლება სწრაფად უნდა გაექცეს კაცი.

საუკუნო სიცოცხლე ღმერთთან თანაზიარებაში

როცა იესო ქრისტე ხსნაზე ლაპარაკობდა, იყენებდა ცნებას „საუკუნო სიცოცხლე“. საუკუნო სიცოცხლე გაცილებით მეტია, ვიდრე უკვდავობა.

მამა-ღმერთმა, ძე-ღმერთმა და სულიწმიდა-ღმერთმა ადამიანი თავის ხატად შექმნა და თავისთან თანაზიარების უფლება მისცა. ცოდვით დაცემის შედეგად კი მოკვეთილ იქნა იგი ამ თანაზიარებიდან. ხსნის ღვთიური საქმეების მიზანია, მიანიჭოს ადამიანს იმის უნარი, რომ კვლავ დაიკავოს მან თავისი ადგილი ღმერთთან. იესოს მიერ აღთქმული საუკუნო სიცოცხლე მამასთან, ძესთან და სულიწმიდასთან თანაზიარებაში მდგომარეობს.

ღმერთთან თანაზიარებაში ყოფნა „ღმერთად“ ყოფნას არ ნიშნავს. დახსნილი სულები ღვთის სასუფეველში ღვთის ქმნილებებად დარჩებიან, ღმერთი ყოველთვის ყველაფერზე და ყველაზე აღმატებული იქნება. მაგრამ ისინი საუკუნოდ და სრულ ჰარმონიაში იცხოვრებენ მასთან. უკუნითი უკუნისამდე მის თაყვანისცემასა და დიდებაში იქნებიან და გამუდმებით აღმოაჩენენ ღვთიური დიდების ახალ-ახალ ასპექტებს.

უფალმა ნათლად და მკაფიოდ დაგვანახა, თუ რა პირობები უნდა შევასრულოთ საუკუნო სიცოცხლის მისაღწევად: უნდა გვწამდეს იესო ქრისტე, ხელახლა უნდა ვიშვათ წყლისა და სულისგან, ასევე მივიღოთ ქრისტეს ხორცი და სისხლი. ეს წინაპირობები აუცილებელია, მაგრამ არა საკმარისი. საიდუმლოთა მიღება ღმერთთან საუკუნო თანაზიარების მიღწევის შესაძლებლობას გვაძლევს. მაგრამ ის არ გვაძლევს იმის გარანტიას, რომ საბოლოო ხსნას ავტომატურად მივაღწევთ. იესო ქრისტეს მეორედ მოსვლისთვის ინტენსიურადაც უნდა მოვემზადოთ. ეს მომზადება ჩვენს განწმედას ნიშნავს - უფრო სწორად, ჩვენი განწმედის საშუალება ღმერთს უნდა მივცეთ. თუ სულიწმიდას ავამოქმედებთ ჩვენში, განგვწმედს იგი, მოგვცემს ძალას, შევეწინააღმდეგოთ ცოდვას, და იმაზე უარის თქმას გვასწავლის, რაც ღმერთს გვაშორებს.

ამიტომაც მარტო ახალსამოციქულო ქრისტიანები არ ელოდებიან უფლის მეორედ მოსვლას, რათა თავი დააღწიონ ამ ქვეყანას. თავიანთ ამქვეყნიურ არსებობას ისინი სულაც არ აღიქვამენ როგორც „გლოვის ველს“. მათი ცხოვრება დედამიწაზე

წყალობის ჟამია, რომელსაც ღმერთი სწყალობს მათ, რათა ჭირსა და ლხინში მასთან საუკუნო თანაზიარებისთვის მოემზადონ. პირველი აღდგომა მათთვის გაცილებით მეტია, ვიდრე გაქცევა, ის სრულყოფაა!

თანაზიარება ღმერთთან და ადამიანებთან

ღმერთთან თანაზიარებაში ყოფნა ნიშნავს, ვიყოთ აღვსილნი ღვთიური სიცოცხლით და შევასრულოთ მისი ნება. ღვთიური სიცოცხლის არსი სიყვარულია. თუ გვინდა, რომ ერთნი ვიყოთ იესო ქრისტესთან, როგორც თვითონ არის მამასთან ერთი, მაშინ ქრისტეს სიყვარული უნდა იყოს ჩვენში.

ახალი აღთქმა ცხადყოფს, რომ ღვთიური სიცოცხლე განუყოფლად არის დაკავშირებული მოყვასის სიყვარულთან. მოყვასის სიყვარულს იესო ისეთივე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, როგორც ღვთის სიყვარულს. ის თავისიანების ერთობისთვის ლოცულობს. მოწაფეებს ის ურთიერთსიყვარულისა და ურთიერთმსახურებისკენ მოუწოდებს.

ღმერთთან საუკუნო თანაზიარებაში ცხოვრებისთვის მომზადება სხვებთან თანაზიარებაში ცხოვრებისთვის მომზადებასაც ნიშნავს. თავისთავად ადამიანებს არ შესწევთ იმის ძალა, რომ ერთმანეთთან ჰარმონიაში იცხოვრონ. ჯერ ახალ ქმნილებად უნდა იქცნენ ქრისტეში, აღვსილნი ღვთიური სიყვარულით და წარმართულნი სულიწმიდის მიერ. ადამიანებს შორის სრული თანაზიარება მხოლოდ ღვთის სასუფეველში იქნება შესაძლებელი, როცა ყველა თავისუფალი იქნება ცოდვისგან და ადამიანური არასრულყოფილებისგან. მაგრამ ერთმანეთთან თანაზიარებაში ცხოვრება სწორედ დღეს უნდა ვისწავლოთ!

საუკუნო სიცოცხლისათვის მომზადება მარტო შეუძლებელია. მას მაშინ აქვს აზრი, როცა ის იმათ კრებულში ხდება, ვინც ღმერთთან საუკუნო თანაზიარებისკენ ისწრაფვის.

ღვთისმსახურების როლი

ღვთისმსახურებას განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მორწმუნეთა მომზადებაში უფლის მეორედ მოსვლისათვის.

ღვთისმსახურებაში მონაწილეობით მორწმუნე, პირველ რიგში, ინდივიდუალურად ემზადება. ის ანმტკიცებს მის პირად ურთიერთობას ღმერთთან. ცდილობს ფიზიკურად და სულიერად გაემიჯნოს ყოველდღიურობას, რათა შეხვდეს ღმერთს. სულიწმიდის მიერ შთაგონებული ქადაგება აძლიერებს მის რწმენას იესო ქრისტეს მალე მეორედ მოსვლის მიმართ. ლოცვაში „მამაო ჩვენო“ მორწმუნე ღმერთთან თანაზიარებაში ყოფნის სურვილს გამოხატავს - „მოვიდეს სუფევა შენი, იყოს ნება შენი“. შენდობითი ლოცვა ცოდვის ტვირთისგან ათავისუფლებს მას. ზიარების ღირსეულად მიღება ანმტკიცებს მის იმედს და კვებავს ღვთიურ სიცოცხლეს, რომელიც მან ხელახლა დაბადების შედეგად მიიღო.

ღვთისმსმსახურებაში მონაწილეობა მორწმუნეებს ღვთის სასუფეველში წმიდებთან თანაზიარებაში ცხოვრებისათვისაც ამზადებს. ღვთისმსახურებაზე დასწრებით მორწმუნე აჩვენებს, თუ რა მნიშვნელობას ანიჭებს იგი ღმერთთან მის ურთიერთობას: იმდენად ძლიერია მასში ღმერთის დიდებისა და თაყვანისცემის სურვილი, ღმერთთან კომუნიკაციისა და მასთან ყოფნის მოთხოვნილება, რომ იმ ადამიანების კრებულს უერთდება, ვისთანაც

სხვა შემთხვევაში არც არასოდეს ექნებოდა ურთიერთობა.

უფრო მეტიც, ჩვენს ძმებსა და დებთან შეხვედრა იმის შესაძლებლობას აძლევს მას, რომ დაინტერესდეს სხვებით, მათი სიხარული და დარდი გაიზიაროს. და ვინაიდან არავინ არის სრულყოფილი, თემში ცხოვრება მორწმუნეს ურთიერთმიტევებას, შერიგებას და არსებული განსხვავებების დაძლევას ასწავლის.

როდესაც მორწმუნე ეკლესიაში მიდის, ხვდება, რომ ღმერთი ყველა დამსწრეს ერთნაირი გზავნილით მიმართავს - სრულიად განსხვავებულ სიტუაციებში მყოფი მორწმუნეების გასაძლიერებლად ღმერთი ერთსა და იმავე სიტყვას იყენებს. ეს მარტივი დაკვირვება სახარების უწყების ზემოქმედებაზე წარმოდგენას გვიქმნის. ლოცულობენ რა მორწმუნეები ერთად და ხმამაღლა „მოგვიტევე ჩვენ თანანადებნი ჩვენი“, ამით საჯაროდ აღიარებენ, რომ ყველას, გამონაკლისის გარეშე, ღვთის წყალობა სჭირდება.

წმიდა ზიარების საიდუმლოს მიღება უფლის მეორედ მოსვლისათვის ჩვენი მომზადების არსებითი შემადგენელი ნაწილია. ზიარება აშკარად საერთო ტრაპეზიც არის: ქრისტეს თანაზიარება მორწმუნეებთან, ასევე მორწმუნეთა თანაზიარება ურთიერთშორის. ზიარება ყველა ამ ეფექტს მაშინ ახდენს, როცა მორწმუნე ნაკურთხ სეფისკვერს იღებს მოციქულის ან მის მიერ უფლებამოსილი მღვდელმსახურისგან და თან მრევლის თანდასწრებით.

როცა ზიარებას ერთად ვზეიმობთ, თვითეულ ჩვენთაგანს შეუძლია ნახოს, რომ უფალი ყველას ერთნაირად ესალმება, იგივე სიყვარულს ამჟღავნებს მათ მიმართ, რასაც ჩვენს მიმართ, და ზუსტად იმავეს აძლევს, რასაც ჩვენ გვაძლევს. ეს გამოცდილება შესანიშნავი მომზადებაა კრავის საქორწილო ნადიმისთვის.

და ბოლოს, საყურადღებოა ის, რომ ღვთისმსახურების აღსრულება, როგორც წესი, რამოდენიმე მორწმუნის თანამშრომლობას მოითხოვს - ღვთისმსახურების ხელმძღვანელისა და თანამქადაგებელი მღვდელმსახურების, მგალობლების, მუსიკოსების, ასევე დახვედრაზე, გაფორმებასა და სისუფთავეზე და აშ. პასუხისმგებელ პირთა. ეს თანამშრომლობა ერთად ცხოვრების სწავლის შესანიშნავი შესაძლებლობაა.

დასკვნა:: მისი მეორედ მოსვლისას უფალი თავისთან წაგვიყვანს. ცოდვისა და მისი შედეგებისგან თავისუფალნი ღმერთთან, მამასთან, ძესთან და სულიწმიდასთან, სრულ თანაზიარებაში ვიცხოვრებთ. ერთმანეთთანაც სრულ თანაზიარებაში ვიქნებით.

მეორედ მოსვლისათვის მომზადება ღმერთთან და ურთიერთშორის თანაზიარების შენარჩუნებას ნიშნავს. ამ მომზადების დროს ღვთისმსახურებაზე დასწრებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

ვირტუალური ღვთისმსახურებები ნამდვილად სასარგებლოა, მაგრამ ხსნისათვის მათ იგივე ეფექტი არა აქვთ, როგორც ღვთისმსახურებაზე პირადად დასწრებას. თანაზიარების განცდა სასძლოს მომზადების მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია.

ასევე მღვდელმსახურებისა და მრევლის თანდასწრების გარეშე ნაკურთხი სეფისკვერის მიღება ხსნისათვის ისეთივე ეფექტის მომტანი არ არის, როგორც ზიარებისა თემში.

ჩემს პასუხისმგებლობად ვთვლი, ყველა ახალსამოციქულო მორწმუნეს საზეიმოდ შევახსენო, რომ ღვთისმსახურებაში მონაწილეობა იესოს მეორედ მოსვლისათვის მომზადების არსებითი შემადგენელი ნაწილია. შეგნებულად და რეგულარულად ღვთისმსახურებაზე დასწრების თავიდან აცილება, თუმცა ამის საშუალება გვქონდა, ჩვენი ხსნისათვის საზიანო შეიძლება იყოს.

სატიტულო ფურცელი
გამომცემელი: ჟან-ლუკ შნაიდერი, იუბერლანდშტრასე 243, 8051 ციურიხი / შვეიცარია
შპს ფრიდრიხ ბიშოფის გამომცემლობა, ფრანკფურტერშტრასე 233, 63263 ნოი-იზენბურგი / გერმანია
რედაქტორი: სიმონ ჰაინიგერი

წლევანდელი დევიზი ინსპირაციის წყაროა შემოქმედთათვის

ხელები და გულები და ბუნების სასწაული: ეს არის ყველაზე პოპულარული სიმბოლოები ლოგოებში, რომლებითაც სამხარეო ეკლესიები 2025 წლის დევიზს წარმოადგენენ - „დროა, ვაკეთოთ სიკეთე“.

სტილიზირებული გული სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის დამახასიათებელი ნიშნის ამოსავალი წერტილია, რამეთუ მისი განმარტება ასეთია: სიკეთის კეთება ეფუძნება სიყვარულს და მისგან წარმოშობილ სათნოებებს, როგორიცაა თანაგრძნობა, კეთილგანწყობა და უანგარობა.

ორი გული პეპელას განასახიერებს. თავისი გარდაქმნით ჭუპრიდან ფრთაშეხმულ მშვენიერებამდე და თავისუფლებამდე ის ცვლილების და იმედის სიმბოლოა და გვახსენებს, რომ ყოველთვის შესაძლებელია ზრდა და განახლება, რა გამოწვევების წინაშეც არ უნდა ვიდგეთ.

ხელი და გული

ხელები საქმისთვის, გული კი - სიკეთისთვის: ამ ლოგოთი მუშაობს კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის ორივე სამხარეო ეკლესია. კონგოს დრ-ის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე სამხ. მოციქულის სამოღვაწეო მხარეში, მის ცენტრში, ზემოთ განთავსებულია ჯვარი ნიშნად იმისა, რომ საქმე ეხება იესო ქრისტეში ხსნასა და მის მეორედ მოსვლას.

ეს ლოგო მთელი სულითა და გულით შეიქმნა კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის დასავლეთ ნაწილში. ის შეიცავს პასუხს მოწოდებაზე: „თუ

სამხ. ეკლესიები 2025 წლის დევიზის ლოგოები

დღეს მის ხმას გაიგონებთ, ნუ გაიქვავებთ გულებს“. საათი სიჩქარეზე მიუთითებს. ხოლო ორი ხელი, რომლებიც ერთად გულს გამოსახავენ, „მზად არიან, ატარონ ერთმანეთის ტვირთი და ასევე ლოცვაში გაერთიანდნენ.“

ხელში დაჭერა და წაკითხვა

ორი ხელი, რომლებიც ერთმანეთშია გადაჯაჭვული და გულს ქმნიან: ასე გამოიყურება სამხრეთ აფრიკის ლოგოტიპი. „ვინაიდან იესოს სურს, რომ სიკეთე სიყვარულით ვაკეთოთ“, ნათქვამია განმარტებით ვიდეოში. რა იგულისხმება მოცემულ ფერთა გამაში: ოქროსფერმა ყვითელმა სიხარული და ბედნიერება უნდა გამოასხივოს, ლაჟვარდოვანმა ლურჯმა კი სიმშვიდისა და მშვიდობის განცდა გააღვივოს.

ხელები, მისი უფრო ფართო გაგებით, სამხ. მოციქულის კიდევ ორ სამოღვაწეო მხარეშია ყურადღების ცენტრში მოქცეული: „წყნარი ოკეანის დასავლეთი“ აჩვენებს ბიბლიას, რომელიც ბევრს უჭირავს ხელში და კითხულობს. ამ გამოსახულების მიზანია, აჩვენოს, საიდან მოდის კეთილი საქმეების კრიტერიუმები. „დასავლეთ აფრიკის“ ლოგო ორ ფიგურას გამოსახავს, რომლებსაც მესამე ფიგურა ხელში ჰყავთ აყვანილი და მიჰყავთ, რაც მოყვასის მხარდაჭერისა და მასზე ზრუნვის სიმბოლოს წარმოადგენს.

დრო და ზრდა

დროის ფაქტორიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს დიზაინერებისთვის. სამოღვაწეო მხარე „ზამბია, მალავი და ზიმბაბვე“ შემოფარგლულია ციფერბლატის გამოსახულების ლოგოთი, რომლის შუაშიც გულია მოთავსებული. „სამხრეთ ამერიკა“ კი ჯვარს წარმოდგენს, როგორც საათის ისარს, რომელიც პირველზეა გაჩერებული, რაც შემდეგს ნიშნავს: „სწორედ ახლა ამ დროს და ამ წამს, და არა სხვა დროს, საყვარელი ღმერთი მოქმედებისკენ მოგვიწოდებს.“

ინდოეთისა და კანადის პროექტებში ყურადღება გამახვილებული იყო ზრდაზე: აზიის სამუშაო სფეროში 250 პროექტი შევიდა კონკურსისათვის, მასშიმონაწილეობდნენბავშვებიდაახალგაზრდები. საბოლოოდ, 17 წლის მუმბაიელი ახალგაზრდის პროექტმა გაიმარჯვა. მასზე გამოსახულია ხელები, რომლებიც ლოცულობენ და მცენარეს უვლიან.

ჩრდილოეთ ამერიკის ლოგოც მსგავსი სტილით არის შექმნილი: გამოსახული ფიგურა უვლის მზესუმზირას და ზრუნავს მასზე. პიროვნება ფერთა პალიტრაშია გამოსახული, რაც ადამიანური ნიჭების მრავალფეროვნებას წარმოადგენს, რომლებიც ურთიერთკავშირში ერთად მუშაობენ. გახარებული მზესუმზირა გაკეთებული სიკეთის სიმბოლოა.

პროგრამა

06.07.2025 წ. ლოზანა (შვეიცარია)
20.07.2025 წ. კინშასა (კონგოს დრ)
22.07.2025 წ. მბანზა-ნგუნგუ (კონგოს დრ)
25.07.2025 წ. ბოია (კონგოს დრ)
27.07.2025 წ. ემბუჯიმაი (კონგოს დრ)
08.08.2025 წ. უაგადუგუ (ბურკინა-ფასო)
10.08.2025 წ. ნიამეი (ნიგერია)
24.08.2025 წ. ტირანა (ალბანეთი)
21.09.2025 წ. პარიზი (საფარანგეთი)
03.10.2025 წ. ჯერ დაუდგენელია (გაბუნი)
05.10.2025 წ. ჯერ დუდგენელია (კამერუნი)
12.10.2025 წ. ჯერ დაუდგენელია (გერმანია)
19.10.2025 წ. კიტჩენერი (კანადა)

New Apostolic Church
International